თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2013 წლის 26 დეკემბერი სხდომის ოქმი #16

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ასოც. პროფ. თ. ბერიძე; ფაკულტეტის სწავლული მდივანი, ასოც. პროფ. ხ. ბარბაქაძე; ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 24, სტუდენტები – 6, სულ – 30 წევრი.

დღის წესრიგი

1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2014 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების შესახებ (დანართი #1).

(ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე)

2. თსუ კურსდამთავრებულებისათვის ხარისხების მინიჭების შესახებ

ა) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხების მინიჭების შესახებ

(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი)

ბ) ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი)

3. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში ცვლილების შესახებ (სასწავლო კურსზე – „მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მართვა“ დაშვების წინაპირობის ცვლილება)

(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი)

მიმდინარე საკითხები.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელშიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტის ქალბატონი ნინო პაპაჩაშვილის თხოვნით შევიდა შესწორება და შესწორებული ვარიანტი ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2014 წლის ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცების შესახებ (დანართი).

(ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე)

მომხსენებელმა ბატონმა ა. მიქაბერიძემ საბჭოს გააცნო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი, რომელიც საბჭოს წევრებს დაგზავნილი ქონდათ ელექტრონულადაც.

აზრი გამოთქვეს:

პროფ. ქ. მარშავა - დღეს ბიუჯეტი უნდა დავამტკიცოთ, რადგან სხვა გზა არ არის წელი იწურება და აუცილებელია ბიუჯეტის დამტკიცება. გასაგებია, რომ რასაც გვეუბნება და გვკარნახობს უნივერსიტეტის საფინანსო დეპარტამენტი და იქედან უნდა გამოვიდეთ. ერთი სემესტრის შემდეგ უფრო გამოჩნდება ეს ციფრები ზუსტია თუ არა. ძალიან კარგია, რომ ბიუჯეტის კორექტირების შესაძლებლობაც არის. როგორც ვიცით, ჩვენმა ფაკულტეტმა მოიპოვა 6 თუ 7 წიგნის თარგნის უფლება. ორი წიგნი უკვე ნათარგმნია, დარჩენილია მხოლოდ რედაქტირება, ზოგიც რიგში დგას. თქვენ კი ბრძანეთ, რომ თანხა 100 000 ლარია გამოყოფილი თარგმნა-კორექტირებისთვის და ეს თანხა მე ვფიქრობ არ იქნება საკამრისი და ამიტომ თუ არ მოხდა ამის გათვალისწინება, გამოდის, რომ რაც თანხაა გადახდილი ნებართვაზე დაიკარგება თუ არ მიეცა შემდგომი მსვლელობა და არ მივიდა ბოლომდე სახელმძღვანელოს გამოცემა.

პროფ. ე. მექვაბიშვილი - ბატონო აკაკი, ეს არის გაანგარისებადი. ვიცით რამდენი წიგნია გადასათარგმი, რამდენი ჯდება თითეული წიგნის თარგმნა და

კორექტირება და ამიტომ წინასწარ დავთვალოთ ზუსტი თანხა და ამის მიხედვით მოვითხოვოთ აღნიშნული თანხა.

ასოც. პროფ. ჩარიტა ჯაში - მე ასე ვიცი, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ერთ-ერთ პრიორიტეტად იყო გამოცხადებული მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების სახელმძღვანელოების თარგმნა და გამოცემა, ასე იყო უნივერსიტეტის რექტორის მხრიდანაც მოწოდება. ამიტომ ამ მიმართულებით ფინანსური უზრუნველყოფაც აუცილებელია.

პროფ. თ. შენგელია - ბატონო აკაკი, რასაც ქალბატონი ჩარიტა ბრძანებს, ეს რეალურად პრობლემაა, რადგან თითოეული ჩვენთაგანი რომელიც ვიყავით ამ პროცესში ჩართული ნამდვილად წავაწყდით წინააღმდეგობას. ეს თანხა რომ არაა საკმარისი ეს თავისთავად ცხადია, მაგრამ აქ მეორე პრობლემაც იჩენს თავს. ეს თანხა რაც გამოყოფილია საკმარისი მხოლოდ თარგმნისთვის, რაც შეეხება მეცნიერ-რედაქტორის და ლიტერატურული რედაქტორის, ასევე კორექტირებისათვის ეს თანხა არ იქნებ საკმარისი. სასურველია ამაზეც იყოს თანხა გამოყოფილი.

ასოც. პროფ. ჩარიტა ჯაში - კიდევ მინდა გითხრათ, რომ ტენდერში მონაწლეობას იღებს არაუნივერსიტეტელები და არაპროფესიონალები, იმ დროს როცა სახელმძღვანელოს ავტორები კათედრის წარმომადგენლები არიან, ამიტომ სასურველია ესეც იყოს გათვალისწინებული.

პროფ. თ. შენგელია - ასევე მინდა პროცედურასთან დაკავშირებით მოგახსენოთ, აპრილში გვაქვს ჩაბარებული და დეკემბრამდე მხოლოდ პროცედურების გავლას მოუნდა. ჩვენ ლიცენზიები გვაქვს მოპოვებული, სადაც ცალსახად წერია და განსაზღვრულია ვადები, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს დაცული. რაც შეეხება გამომცემლობას იქაც რიგებია, სადაც ლექსები კრებულები იბეჭდება თურმე და ამის გამო რიგში უნდა ჩავდგეთ. გასაგებია, რომ თარგნასთან დაკავშირებული საკითხი შეთახმებულია, მაგრამ შესათანხმებელი და გასათვალისწინებელია კორექტირების, რედაქტირების და გამოცემასთან დაკავშირებული საკითხი.

ასოც. პროფ. ი. ნაცლიშვილი - ბატონო აკაკი მე კითხვა ზოგადად მაქვს, ძალიან სასიამოვნოა და მისასალმებელია ტურიზმის საერთაშორისო სკოლის დირექტორის ხელფასი 2 500 ლარია. მაინტერესებს რატომ არ არის 5 000

სტუდენტიანი ფაკულტეტისთვის თუნდაც დეკანის მოადგილის ხელფასი მასთან მიახლოებული, როცა ტურიზმის სკოლას ყავს 1 200 სტუდენტი, როგორც თქვენ გაქვთ წარმოდგენილი, რა ლოგიკითაა ეს გაკეთებული საინტერესოა. ასეთივე მდგომარეობაა სამსახურის უფროსებთან დაკავშირებითაც, დიდი სხვაობაა მათსა და ჩვენი ფაკულტეტის სამსახურის უფროსებისთვისაც, რატომაა ასეთი დიდი სხვაობა და არაა მათ ხელფასებთან მიახლოებული.

პროფ. ე. ხარაიშვილი - მინდა ქალბატონი იას ნათქვამს დავამატო კიდევა ერთი, მისასალმებელია რომ კათედრის ასისტენტენტების ხელფასი 730 ლარია, ხოლო სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის სპეციალისტებსაც აქვს 730 ლარი, მე მგონი აქ ცოტა უხერხულობაა, სასურველია ცოტა რანჟირება იყოს.

პროფ. თ. შენგელია - ბატონო აკაკი წარმოდგენილი ბიუჯეტი საგრძნობლად განსხვავდება წინა სხდომაზე წარმოდგენილი ბიუჯეტისგან. მინდა მადლობით დავიწყო და ვთქვა, რომ არის ერთ-ერთი საუკეთესო ბიუჯეტი. გათვალისწინებულია ყველა ის შენიშვნა რაც გამოთქმული იყო წინა სხდომაზე. მაგრამ შეკითხვები მაინც რჩება ისევდაისევ ტურიზმის საერთაშორისო სკოლასთან დაკავშირებით. საზოგადოდ მინდა ვთქვა, ტურიზმის განვითარების ინსტიტუტს ყავს სამი დირექტორი საკმაოდ სოლიდური ხელფასებით. თუ ჩვენ არ გამოვედით იმ პრინციპიდან, რომ დარგს უნდა ხელმძღვანელობდეს მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები. მე მაინტერესებს ეს დირექტორები რა კვალიფიკაციის სპეციალისტები არიან. ასევე ადმინისტრაციულ ნაწილში მათ ხელფასებთან ახლოსაც კი ვერ მიდის ჩვენი ფაკულტეტის შესაბამისი სპეციალისტები, როდესაც ჩვენს ფაკულტეტზე ადმინისტარციის თანამშრომლები ემსახურებიან 5 000 სტუდენტს, ტურიზმის საერთაშორისო სკოლაში კი 1 200 სტუდენტს ემსახურება 5 მთავარი სპეციალისტი, 5 უფროსი სპეციალისტი, რომლებსაც აქვთ საკმაოდ მაღალი ანაზღაურება. მინდა ავღნიშნო, რომ ძალიან კარგია ბატონო აკაკი, რომ პრემირება ამოღებულია, რადგან საინტერესოა რა კრიტერიუმებით და რა დებულებით ხდებოდა პრემიების გაცემა, ვინ დაამტკიცა ეს დებულება, ან ის სია რა კრიტერიუმებით და ვისზე

გაიცემოდა პრემიები. ასევე მინდა ავღნიშნო, რომ ძალიან კარგია უცხოეთში სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისთვის საკმაოდ სოლიდური თანხაა გამოყოფილი, რომელიც მისასალმებელია. ამიტომ შემოვდივარ წინადადებით დაწესდეს გარკვეული შეზღუდვა, განისაზღვროს ლიმიტი თითეული პროფესორიისათვის, წელიწადში ორჯერ მიეცეს საშუალება უცხოეთში გააკეთოს მოხსენება კონფერენციაზე, რადგან არ იქცეს ტურისტულ ცენტრად არ იქცეს უნივერსიტეტი.

პროფ. ი. კოვზანაძე - ბატონო აკაკი, აკადემიური პერსონალის ნაწილი თუ შეიძლება, რომ გავიაროთ წარმოდგენილ ნაწილში.

პროფ. ე. მექვაბიშვილი - ბოლო მონაცემებით, როგორც ვიცით იყო 101 საშტატო ერთეული, ეხლა ქალბატონი ელენე არ არის რომ უფრო დაწვრილებით ეთქვა ამასთან დაკავშირებით, მაშინ როგორც ვიცით იყო 101 საშტატო ერთეული, რომელიც იყო დამტკიცებული განათლების სამინისტროს მიერ. ეხლა რამ გამოიწვია მისი გაზრდა 106, მაშინ როცა რეალურად 91 დაკავებულია და 10 ვაკანსია კიდევ იყო. დამატებით რამ გამოიწვია 106-მდე გაზრდა, როგორ მოხდა ეს, ხომ არ ვარღვევთ ამით ჩვენ რამეს, დამტკიცებულია ეს ვარიანტი განათლების სამინისტროსთან?

დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე - რა თქმა უნდა, მაშინაც 101 საშტატო ერთეული და ეხლაც 106 საშტატო ერთეული დამტკიცებულია განათლების სამინისტროს მიერ.

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - დამატებით 5 საშტატო ერთეული მოვითხოვეთ და სამინისტრომაც გამოყო დამატებით 5 საშტატო ერთეული?

დეკანის მოადგილე ა. მიქაბერიძე - საშტატო ერთეულების დამატება გამოიწვია ახალი კათედრის შექმნამ.

პროფ. ი. კოვზანაძე - რადგან 91 საშტატო ერთეული დაკავებულია და 10 ვაკანსია იყო, არ შეიძლებოდა ამ ვაკანსიების გადატანა ახალი კათედრის შექმნასთან დაკავშირებით?

პროფ. ე. მექვაბიშვილი - ბატონო აკაკი ერთი შეკითხვა მაქვს, ახალ კათედრასთან დაკავშირებით, როგორც ვიცი ოთხი საშტატო ერთეული ემატება, ვინმემ დათვალა საათების რაოდენობა რამდენია, რადგან იქ სპეციფიკაა საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის.

საერთაშორისო ეკონომიკის მიმართულებით გასაგებია არის საათები, მაგრამ რაც შეეხება ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის საათებს გეტყვით, რომ საათები არ არის, მერე პრობლემა არ შეგექმნათ, რომ არჩეული იქნას პროფესორი და არ იქნება საათები, ისე არ იყოს, რომ მოძღვრებათა ისტორიის კათედრაზე იყოს არჩეული პროფესორი და ისევ ეკონომიკის პრინციპების კათედრამ მისცეს საათები.

პროფ. ი. კოვზანაძე - თუ საათების რაოდენობა არ იყო შტატი როგორ გამოცხადდა?

პროფ. ნ. თოდუა - კარგია რომ დღეს წარმოდგენილია ჩაშლილი ბიუჯეტი, მაგრამ მაინც კითხვები რჩება. მოწვეული მასწავლებლების ანაზღაურება ისევ 20 ლარი რჩება, ამ პირობებში როდესაც აკადემიური პერსონალის ხელფასები საგრძნობლად გაზრდილია, მაშინ როდესაც 2006 წელს აკადემიური პერსონალის ხელფასი 760 ლარი იყო და საათობრივი ანაზღაურება მაშინაც 20 ლარი იყო. ეს საკითხი ჩემი აზრით, გადასახედია. ასევე მინდა ავღნიშნო მივლინებებთან დაკავშირებით, კარგია რომ ჩვენს ფაკულტეტზე გაზრდილია მივლინების თანხა, რას შეეხება ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის მივლინებების თანხა 25 000 ლარითაა განსაზღვრული. თსუ-თან შემოერთებული ყველა კვლევითი ინსტიტუტის სამივლინებო თანხები კი 49 000 ლარია, წარმოუდგენელია ასეთი სხვაობა. რაც შეეხება, წარმომადგენლობით ხარჯებს ტურიზმის განვითარების ინსტიტუტისთვის განსაზღვრულია 16 000 ლარი, ხოლო შემოერთებული ყველა ინსტიტუტისთვის კი გამოყოფილი აქვს 16 000 ლარი, ჩემი აზრით, ესეც გამოსაკვლევია. ასევე მაინტერესებს რატომ არაა თანხა გამოყოფილი კვლევების დასაფინასებლად.

ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილი - თუ ვისაუბრებთ, ბიუჯეტის მუხლების ჩაშლასთან დაკავშირებით, რა მოთხოვნაც იყო საბიუჯეტო კომისიისგან ჩვენც ტურიზმის განვითარების ინსტიტუტმა მოთხოვნის შესაბამისად ჩავშალეთ ყველა მუხლი. რაც შეეხება პროპორციებს, რომელიც მიბმულია სტუდენტების რაოდენობასთან აქაც მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობის მთლიანი წილი ფაკულტეტის სტუდენტების მთლიან რაოდენობასთან არის დაახლოებით 21%, ხოლო

ხარჯი შეადგენს დაახლოებით 13,3%-ს, ანუ დაახლოებით 8%-ი რომელიც არის სხვაობა რჩება ფაკულტეტზე - ეს ნიუანსი მოგაწოდეთ ინფორმაციისთვის. რაც შეეხება, მივლინებების საკითხს იქ განსაზღვრულია შიდა მივლინებები, რომელიც ძირითადად ეხება ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან ურთიერთობას, სადაც ორ კვირაში ერთხელ გვიწევს ქუთაისში ჩასვლა, რადგან რეალურად დისტანციურია და ურთიერთობა აუცილებელია, მითუმეტეს როცა პროფესიულ პროგრამებზე 350 სტუდენტს ველოდებით. კიდევ ერთი ნიუანსი - ჩვენ ვმუშაობთ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე კაროლინის უნივერსიტეტთან. ასევე მინდა დაგეთანხმოთ, რომ ადმინისტრაციული ნაწილი აუცილებლად გადაიხედება, სადაც კონკურსის წესით მოხდება შერჩევა, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობა რეალურად ასეთია. წინა სხდომაზეც დავსვი ეს საკითხი და დღესაც მაინტერესებს, რატომაა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა ხელშეუხებელობის პრინციპით, აუცილებლად უცხოური წარმოშობის რეზიდენტი უნდა ვიყო, რომ კითხვა არავინ დასვას არც შემოსავლებზე და არც ხარჯებზე? რატომ უნდა იყოს დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი, როცა მისი ხელმძღვანელი უამრავ პროგრამებს აკეთებს, ადმინისტრაცია დაკავებულია ამ პროგრამების გადამუშავებით და გავდივართ ყველა პროცედურას და თქვენ მარტო ფიქრობთ, რომ რატომ მიდის ეს თანხები თანამშრობლებთან?

პროფ. გ. ღაღანიძე - ბატონო აკაკი, პირველ რიგში, დიდი მადლობა დღევანდელი ბიუჯეტი უკეთესადაა წარმოდგენილი. ქალბატონო ეკა, რაც თქვენ წარმოადგინეთ სტატისტიკა 13.3%, ვინაიდან აკადემიური პერსონალის 2 943 000 ჩათვლილი არის ფაკულტეტზე და არა ტურიზმის განვითარების ინსტიტუტში, აქედან გამომდინარე, ეს ციფრი შეიცვლება აუცილებლად. აქ მთავარი ერთი რამ არის, არ შეიძლება უზარმაზარი ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსი იღებდეს ნაკლებს, ვიდრე ფაკულტეტს დაქვემდებარებული სტრუქურაში მთავარი სპეციალისტი, ეს ცალსახად არასწორია. არავინ არ ითხოვს მათთვის ხელფასების დაკლებას, მაგრამ ფაკულტეტზე ადმინისტრაციული ნაწილის ხელფასმა რომ უნდა

მოიმატეს, ეს აუცილებლად დასარგულირებელია არ შეიძლება ასე დატოვება.

ასოც. პროფ. ნ. კაკულია - წლების განმავლობაში სულ ვწუხდით და ვითხოვდით, რომ ფაკულტეტის საბჭოს მდივანი ანაზღაურების გარეშე აკეთებს უზარმაზარ საქმეს და იქნებ პრემიის ან რაიმე ფორმით ეს საქმე გადაწყვეტილიყო. ბატონო თემურ, თქვენ ერთად მუშაობთ, მართლაც კეთდება საქმე იწერება ოქმები და მოწესრიგებულია საბჭოს მუშაობა. თქვენამდე იყო ამის პრეცედენტი, რადგან ვერ გადაწყდა ანაზღაურების საკითხი უსიამოვნო სიტუაცია შეიქმნა, რომ მდივანმა ანაზღაურების გარეშე მუშაობაზე თქვა უარი, იქნებ ეს საკითხი დაგვეყენებინა დღის წესრიში და გვეფიქრა ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტაზე, რადგან ისევ არ განმეორდეს იგივე სიტუაცია.

პროფ. ი. კოვზანაძე - ბატონო თემურ, ერთი საკითხი მინდა დავაყენო. გასაგებია და არაფერი საწინააღმდეგო არ გვექნება, რომ გამოცხადებულია ახალ საშტატო ერთეულზე კონკურსი. დასაწყისში ვამბობ, რადგან ეხლა ვამტკიცებთ ბიუჯეტს, იმედია ბიუჯეტი გათვლილი იქნება სასწავლო გეგმაზე, იქ სადაც საათების რაოდენობა საკმარისია, შესაბამისად გამოცხადებული იქნება კონკურსი. ისე არ მოხდეს, რომ პროფესორი გავიდეს კონკურსში და აღმოჩნდეს, რომ არ არის შესაბამის კათედრაზე საათების რაოდენობა და სხვა კათედრების საათებს რაიმე დაემუქროს.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 29;

წინააღმდეგი – 1.

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულებისათვის ხარისხების მინიჭების შესახებ

ა) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხების მინიჭების შესახებ

ბ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი)

აზრი გამოთქვეს: პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. გ. ღაღანიძემ, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 30;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: ა). <u>მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი</u> და მიეცეს დიპლომი ჩვეულებრივი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 2012-2013 სასწავლო წლის კურსდამთავრებულს:

1. **შათირიშვილი ბექა**

ბ). <u>მიენიჭოს ხელოვნების მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს:</u>

1. **გვანცა წულეისკირი**
2. **ნინო ყოჩიაშვილი**
3. **ანა ჩიხრაძე**
4. **ანა ედიშერაშვილი**

მოისმინეს: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში ცვლილების შესახებ (სასწავლო კურსზე – ,,მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მართვა“ დაშვების წინაპირობის ცვლილება)

(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი)

აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. რ. გველესიანმა, პროფ. ე. მექვაბიშვილმა, პროფ. მ. ტუხაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 30;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ბიზნესის ადმინისტრირების 2011-15, 2012-16, 2013-17 წლების საბაკალავრო პროგრამებში და სასწავლო კურსზე – ,,მონაცემთა ბაზების დაპროექტება და მართვა“ დაშვების წინაპირობა შეიცვალოს შემდეგნაირად - „ბიზნეს-ინფორმატიკა“ ან „ეკონომიკური ინფორმატიკა“.

მოისმინეს: ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში ცვლილების შესახებ (სასწავლო კურსზე – ,,სოციალური პოლიტიკა“ დაშვების წინაპირობის ცვლილება)

(ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი)

აზრი გამოთქვეს: პროფ. მ. ტუხაშვილმა, პროფ. ნ. თოდუამ, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 30;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში და სასწავლო კურსის ,,სოციალური პოლიტიკა“ წინაპირობა „მაკროეკონომიკა 1“ შეიცვალოს „მაკროეკონომიკის პრინციპებით“. ცვლილება შესაბამისად აისახოს ეკონომიკის 2010-14, 2011-15, 2012-16, 2013-17 წლების საბაკალვრო პროგრამებზე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი: თ. ბერიძე
ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: ხ. ბარბაქაძე